

ძრავას შეკეთება



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა:

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ავტოსატრანსპორტის სერვისი Vehicles Body and Special Purpose Techniques Service

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა:

07119-3

მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე:

საბაზო პროფესიული აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საჰაერო ხომალდები, კოდი - 0716, აღმწერი - „შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და ძრავების შესწავლის კომბინირება.“

მიზანი:

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს შრომის ბაზრისათვის მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება, რომლებიც ახდენს სატრანსპორტო სფეროში აგრარული ტექნიკისა და ავტომობილების დაიგნოსტირებას, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, მოდერნიზებასა და შეკეთებას.

დაშვების წინაპირობები:

- საბაზო განათლება.

ჩარიცხვის პროცედურები:

- პროფესიული გამოცდა - (მექანიკურ-სივრცითი უნარები და მათემატიკა)

სწავლების ხანგრძლივობა დროში:

- ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 40 კვირა;
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 50 კვირა;

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს ძრავას შეკეთების პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ტექნიკოსად, ძრავას მექანიკოსად (საავტომობილო ტრანსპორტი), სავალი ნაწილის მექანიკოსად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 45.2; 45.20; 45.20.0;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7231;

სტრუქტურა და მოდულები

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში (ძრავას შეკეთების პროგრამა) - მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, მსუბუქი ავტომობილის შეკეთების 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 10 კრედიტის რაოდენობით და ძრავას შეკეთების კონცენტრაციის 5 მოდულს ჯამური 14 კრედიტის რაოდენობით.

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 57 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 40 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 72 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 50 კვირა

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მეწარმეობა 1	2
2.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	ინტერპერსონალური იმუნიკაცია	3
5.	სამოქალაქო განათლება	2
6.	უცხოური ენა	4
ჯამი:		16
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ავტოსატრანსპორტო შუალელების კლასიფიკაცია	2
2.	შრომის უსაფრთხოება და პრემოს დაცვა	3
3.	ზოგადი ელექტროტექნიკის ფუძვლები	4
4.	დამკვეთთან ურთიერთობა	2
5.	საზეინკლო საქმის საფუძვლები	4

6.	გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო შუალედებისა და ხეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისები	2
	ჯამი:	17

მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ტრანსმისიის კლასიფიკაცია	2
2.	დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია	3
3.	ტექნიკური უცხო ენა და მემბოლოები	2
4.	შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია	3
	ჯამი:	10

კონცენტრაცია - ძრავას შეკეთება - მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ძრავის ზოგადი დიაგნოსტიკა	2
2.	ძრავის მოხსნა-დაყენება	3
3.	ძრავის საწვავით კვების სისტემის სერვისი	3
4.	ძრავის მექანიზმების სერვისი	4

5.	ძრავის შეზღვევა-გაგრილების ერვისი	2
	ჯამი:	14
	სულ:	57

სტუდენტის შეფასების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები:

1. სტუდენტის შეფასების წესი - იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი **მუხლი 10.**
2. კვალიფიკაციის მინიჭების პირობები -იხ. სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მარეგულირებელი წესი **მუხლი 14.**

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებები:

- ✚ შპს „პრემიერ მოტორსი“
- ✚ შპს „რა მოტორსი“
- ✚ შპს „დიდი დილომი“

მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს შეუძლია:

საერთო სწავლის შედეგები:

1. მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება
2. შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები
3. დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები
4. ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები
5. წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით
6. წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია.

სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით:

1. მოახდინოს დაკიდების, საჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია
2. წაიკითხოს და გაანალიზოს ბლოკ-სქემები და პრინციპული სქემები
3. მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამძრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით

4. მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია აგებულიების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით.

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „ძრავას შეკეთება“ :

1. განახორციელოს ძრავას საწვავით კვების სისტემების, ძრავას მექანიზმების, ძრავას გაგრილება შეზეთვის სისტემის სერვისი ☒ მოახდინოს ძრავას ზოგადი დიაგნოსტიკა ☒ ამოიღოს და ჩადგას ძრავა.

პროგრამის დასრულების შემდგომ გასაცემი დოკუმენტი:

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი დანართთან ერთად.